<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 49) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა^1 და ა^2“ ქვეპუნქტები:

„ა^1) ბუნებრივი წყალბადი - თავისუფალი სახით არსებული წყალბადი, რომლის მოპოვება ხდება წყალბადის ბუდობიდან, ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლების მქონე პირის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგად;

ა^2) სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტი - ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების განსახორციელებლად ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს მიერ შემუშავებული პროექტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით მინიჭებული აქვს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტის სტატუსი;“;

ბ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^1“ ქვეპუნქტი:

„ბ^1) ბუნებრივი წყალბადის ოპერაციები - შესაბამისი ხელშეკრულებითა და ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის წიაღში ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოები, აგრეთვე ამ სამუშაოებთან უშუალოდ დაკავშირებული ოპერაციები (მოპოვებული ბუნებრივი წყალბადის შეგროვება, მომზადება, გაზომვა და შენახვა);“;

გ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ^2“ ქვეპუნქტი:

„გ^2) წიაღით სარგებლობასთან დაუკავშირებელი ბუნებრივი წყალბადის ოპერაციები – ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებასთან და მოპოვებასთან, ბუნებრივი წყალბადის იმპორტი, ტრანზიტი, გადამუშავება, ბუნებრივი წყალბადის მიწოდება;“;

დ) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ინვესტორი – საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, იურიდიული პირები ან იურიდიული პირების ერთობლიობა (კონსორციუმი), რომლებიც მონაწილეობენ ნავთობისა

და გაზის და/ან ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებასა და მოპოვებაში და ამისათვის იყენებენ საკუთარ, ნასესხებ ან მოზიდულ ფინანსურ საშუალებებს;";

ე) პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ფართობი - ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელზეც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების და მოპოვების ან/და ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიების და მოპოვების ექსკლუზიური უფლება;";

ვ) პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) მომზადება – მოპოვებული ნავთობისა და გაზის ან ბუნებრივი წყალბადის მინარევებისაგან გაწმენდა;";

ზ) პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო^{1}-ო^{6}" ქვეპუნქტები:

„ო^{1}) ბუნებრივი წყალბადის ბუდობი – წიაღში მნიშვნელოვანი რაოდენობის წყალბადის ბუნებრივი თავმოყრა;

ო^{2}) ბუნებრივი წყალბადის საბადო – წყალბადის ბუდობების ერთობლიობა;

ო^{3}) ბუნებრივი წყალბადის რესურსები – წიაღში არსებული წყალბადის რაოდენობა;

ო^{4}) ბუნებრივი წყალბადის საბადოების ძებნა – გეოლოგიური, გეოფიზიკური, ბურღვითი და სხვა დამხმარე სამუშაოები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საბადოს სამრეწველო მნიშვნელობის წინასწარი შეფასება;

ო^{5}) ბუნებრივი წყალბადის ბუდობის ძიება – გეოლოგიური, გეოფიზიკური, ტექნოლოგიური და სხვა სამუშაოები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ბუდობის სტრუქტურის, ბუნებრივი წყალბადის მარაგების და მოპოვების პირობების განსაზღვრა;

ო^{6}) ბუნებრივი წყალბადის ბუდობის ათვისება – ბუნებრივი წყალბადის მოპოვების მიზნით განხორციელებული ტექნოლოგიური და საორგანიზაციო სამუშაოები, ბუნებრივი წყალბადის წიაღიდან ამოღება, შეგროვება, მომზადების ადგილამდე გადატანა და მომზადება;";

თ) პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით ან/და „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ნავთობისა და გაზის ან ბუნებრივი წყალბადის რესურსების მოცულობისათვის (რაოდენობისათვის), რომლის ოდენობა 1 ტონა ნავთობისა და 1000 კუბური მეტრი გაზისათვის ან ბუნებრივი წყალბადისთვის ლარებში შეიტანება ნავთობისა და გაზის ხელშეკრულებაში;";

ი) პირველი პუნქტის „ჯ" და „ჰ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ) ხელშეკრულება – სახელმწიფოსა და ინვესტორის წერილობითი შეთანხმება ფართობზე ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების პირობების შესახებ,

ხელშეკრულება შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების პირობებს;

ჰ) პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება – სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულ ფართობზე, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურებადი ურთიერთობის საფუძველზე ინვესტორს ენიჭება საქართველოს წიაღში ან/და კონტინენტურ შელფზე ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიური უფლება, ხელშეკრულება შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების ექსკლუზიურ უფლებასაც. ინვესტორი იღებს ვალდებულებას თავისი რისკითა და ხარჯებით, ხელშეკრულების შესაბამისად, აწარმოოს ძებნა-ძიებისა და მოპოვების ყველა სამუშაო. ამ კანონისა და ხელშეკრულების შესაბამისად სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ინვესტორის მიერ გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებას მარტო ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან მიმართებით ნავთობისა და გაზის აღმოჩენის და მოპოვების შემთხვევაში;";

კ) პირველი პუნქტის „ა.გ" და „ა.დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), რომელიც ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის რეგულირებას;";

ა.დ) ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია (სარგებლობის ლიცენზია) – სააგენტოს მიერ სახელმწიფოს სახელით გაცემული იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფართობზე ინვესტორის მიერ ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლებას, რომელიც აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების უფლებას;";

ლ) პირველი პუნქტის „ა.კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.კ) არამაგისტრალური მილსადენი – ნავთობისა და გაზის ოპერაციების ან/და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილ ფართობზე განლაგებული შემკრები და ტექნოლოგიური მილსადენები;";

მ) მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) რეზერვუარი – მიწისზედა ან მიწისქვეშა ხელოვნური საცავი, ან განცალკევებული, ლითოლოგიური საზღვრებით შეზღუდული გეოლოგიური სტრუქტურა, რომელიც გამოიყენება ნედლეულის, თხევადი გაზის, ბუნებრივი წყალბადის, ნავთობქიმიური პროდუქტების, ასევე ნავთობისა და გაზის ოპერაციებისათვის საჭირო ნივთიერებათა მოსაგროვებლად და შესანახად;".

2. მე-2 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსების სამართლებრივი რეგულირება

1. საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციები, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციები და ნავთობის გადამუშავება, გაზის დამუშავება ან ტრანსპორტირების საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ამ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

3. მე-3 მუხლის:

ა) „ა“- დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოში ნავთობისა და გაზის, ასევე ბუნებრივი წყალბადის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი სამართლებრივი ბაზის შექმნა და ნავთობისა და გაზის, ბუნებრივი წყალბადის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ბ) საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და ნავთობისა და გაზის ოპერაციებში ან/და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციებში მონაწილე სუბიექტების კანონიერი ინტერესების დაცვა;

გ) საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების, ზედამხედველობისა და კონტროლის ეფექტიანი სამართლებრივი ბაზის შექმნა;

დ) სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ნავთობისა და გაზის ან/და ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების შესახებ ხელშეკრულებათა ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს შექმნა და მისი ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა;“.

4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. საკუთრების უფლება ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსებზე

1. საქართველოს ტერიტორიის წიაღში არსებული ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსები არის სახელმწიფო საკუთრება. მიწის საკუთრების უფლება არ გულისხმობს ამ მიწის წიაღში არსებული ნავთობის, გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსების საკუთრების ან ექსპლუატაციის უფლებას.

2. საქართველოს აქვს თავის ხმელეთზე და კონტინენტურ შელფზე არსებული ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსების ძებნა-ძიებისა და ექსპლუატაციის ექსკლუზიური და სუვერენული უფლება.

3. მოპოვებულ ნავთობზე და გაზზე და ბუნებრივ წყალბადზე საკუთრების უფლება განისაზღვრება ხელშეკრულების შესაბამისად.

4. მოპოვებული და მიწისქვეშა რეზერვუარში შესანახად მოთავსებული ნავთობი და გაზი და ბუნებრივი წყალბადი ითვლება მოპოვებულად.

5. რეზერვუარში საწარმოო მიზნით (ჭაბურღილის ბურღვა, გამოცდა, მიწისქვეშა რემონტის ჩატარება, ათვისება და სხვა) დაბრუნებული ნავთობი, გაზი, ბუნებრივი წყალბადი მიიჩნევა ნავთობის, გაზის, ბუნებრივი წყალბადის მარაგების ნაწილად და არ ჩაითვლება მოპოვებულად.“.

5. მე-6 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოება

1. ნავთობისა და გაზის ოპერაციები, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელონ სახელმწიფომ და ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა ამ კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად.“.

6. II თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი II. ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების სახელმწიფო მართვა და რეგულირება“.

7. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსების სახელმწიფო მართვა

1. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის სფეროში სამინისტროს ძირითადი ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონით, სამინისტროს დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.
2. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეიმუშავებს სამინისტრო. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის სფეროში სამინისტროს ფუნქციებს არ მიეკუთვნება მესაკუთრის და ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება.
3. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის სფეროს მართვას სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ახორციელებს სააგენტო.“.

8. მე-8 მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსების სახელმწიფო რეგულირება

1. საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს სააგენტო.“.

9. 8^1 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“-„გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან კონსულტაციების შემდეგ ფართობის შერჩევა, რომელიც უნდა შესთავაზონ ინვესტორებს ნავთობისა და გაზის ან/და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების საწარმოებლად; ფართობის შეთავაზების ფორმისა (ტენდერი ან აუქციონი) და ხელშეკრულების ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ბ) ტენდერის პირობებისა და აუქციონის წესების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც გამოვლინდება გამარჯვებული ინვესტორებისთვის ნავთობისა და გაზის ან/და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების საწარმოებლად შეთავაზებულ ფართობზე;

გ) ტენდერებისა და აუქციონების ორგანიზება, ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა ინვესტორებისთვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების ან/და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების საწარმოებლად შეთავაზებულ ფართობზე;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სახელმწიფოს სახელით ინვესტორისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების ან/და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ლიცენზიების გაცემა; ყველა საჭირო უფლებამოსილების, მინაკუთვნის, ნებართვის, სერტიფიკატის დამტკიცება და გაცემა ან გაცემის გარანტიის მიცემა. სააგენტოს მიმართვის შემთხვევაში ყველა სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო საწარმო და ორგანიზაცია ვალდებულია მოამზადოს და გადასცეს მას მოთხოვნილი დოკუმენტები;“;

გ) „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქართველოში ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის რესურსებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა (მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, ანალიზი და შენახვა);

თ) საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ნორმატიული აქტების გამოცემა არადისკრიმინაციული სამართლებრივი გარემოს შექმნისა და ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით;“;

დ) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) ამ კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ან საქმიანობის ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების პროცესში ნავთობისა და გაზის ან ნედლეულის შეგროვების, მომზადების, შენახვის ან ტრანსპორტირების დროს არსებული ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობების დამტკიცება;“.

10. 8^8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სააგენტო, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.“.

11. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1[1]“ პუნქტი:

„1[1]. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებასთან ერთად სააგენტოსთან შეთანხმების შემთხვევაში ინვესტორს ენიჭება ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების განხორციელების უფლება. შესაბამისი შეთანხმება აისახება ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზედაც ინვესტორს მინიჭებებული აქვს ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციის უფლება ან/და ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლება.“.

12. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10[1] მუხლი:

„მუხლი 10[1]. ნავთობის ეროვნული კომპანიისთვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლების მინიჭება

1. სახელმწიფოს სახელით ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლება ნავთობის ეროვნულ კომპანიას შეიძლება მიენიჭოს იმ ფართობზე, რომელზეც არც ერთ ინვესტორს არ აქვს მინიჭებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ჩატარების უფლება და რომელზეც არაა დაწყებული ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პროცედურები.

2. ნავთობის ეროვნული კომპანიისთვის სააგენტოს მიერ ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლებების მინიჭება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების განსახორციელებლად შემუშავებულ პროექტს მიენიჭება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტის სტატუსი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნავთობის ეროვნული კომპანია ნავთობისა და გაზის ოპერაციებს და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციებს ახორციელებს სააგენტოსთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების და მის საფუძველზე გაცემული ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის შესაბამისად, რომლის პირობები პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების პირობების იდენტურია.

4. ამ მუხლის საფუძველზე გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში ნავთობის ეროვნული კომპანია არ ახორციელებს ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს, გარდა „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგულირების საფასურის გადახდისა და პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული ყველა გადასახადის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვისა.“.

13. მე-13 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფართობზე ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია გაიცემა ავტომატურად, სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის განმავლობაში. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია ამტკიცებს ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის და ნავთობისა და გაზის სამუშაოების განხორციელების ექსკლუზიური უფლების ინვესტორისათვის გადაცემას პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების შესრულების მიზნით და შეიძლება ასევე მოიცავდეს ბუნებრივი წყალბადის შემცველი წიაღით სარგებლობის და ბუნებრივი წყალბადის სამუშაოების განხორციელების ექსკლუზიურ უფლებასაც. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის პირობები უნდა იყოს პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების იდენტური. გეოლოგიური ან/და სამთო მინაკუთვნი, საჭიროების შემთხვევაში, გაიცემა ლიცენზიასთან ერთად. ლიცენზიის პირობები უნდა იყოს პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების პირობების იდენტური.“;

ბ) მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) მე-10 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ბუნებრივი წყალბადის ძებნა-ძიებისა და მოპოვების პირობებს.“.

14. მე-17 მუხლის:

ა) სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ინვესტორსა და სააგენტოს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები არ თავისუფლდებიან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის შეუსრულებელი ვალდებულებებისაგან.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინვესტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციები.“.

15. 24-ე მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ჩასატარებლად ყველაზე ეფექტიანი მეთოდისა და ტექნოლოგიის შერჩევა ნავთობისა და გაზის მრეწველობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ჩატარებისას საქართველოს კანონმდებლობისა და საწარმოო უსაფრთხოების, გარემოსა და წიაღის დაცვის მოთხოვნების დაკმაყოფილება;";

გ) „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სხვა პირებისათვის ფართობზე თავისუფლად გადაადგილებაში, მოწყობილობებისა და საკომუნიკაციო საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში ან ნებისმიერი სახის სამუშაოების შესრულებაში (ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წყალბადის გარდა სხვა სახის ბუნებრივი რესურსების კვლევა-ძიების, ათვისების და მოპოვების ჩათვლით) ხელის არშეშლა, თუ ეს მოქმედებები არ ითხოვს უსაფრთხოების განსაკუთრებული პირობების შექმნას და ხელს არ უშლის ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩატარებას;";

დ) „ე" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების ჩატარების ტექნოლოგიური გეგმებისა და პროექტების დაცვა დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს პერსონალისა და საზოგადოების უსაფრთხოებას;";

ე) „ზ" და „თ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოებისას საქართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურებისათვის, საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო და სხვა სახის ტრანსპორტირების ჩათვლით, უპირატესობის მინიჭება, თუ ამ მომსახურების ფასი, ეფექტიანობა და ხარისხი კონკურენტუნარიანია;

თ) ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოებისას, თანაბარ პირობებში, საქართველოს მოქალაქეებისათვის უპირატესობის მინიჭება, სამუშაოთა საწარმოებლად სათანადო კვალიფიკაციის არმქონე პირების დაუშვებლობა;";

ვ) „კ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საჭიროების შემთხვევაში მესამე მხარისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მხოლოდ ხელშეკრულების მხარეების თანხმობის შემდეგ გადაცემა, თუ ნავთობისა და გაზის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;";

ზ) „პ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების, მათი ვადაზე ადრე შეწყვეტის ან დამთავრების დროს დაზიანებული მიწის ნაკვეთისა და სხვა ობიექტების საკუთარი ხარჯებით აღდგენა იმ მდგომარეობამდე, რაც მისაღებია მისი შემდგომი გამოყენებისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;".

16. 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირველადი გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოქიმიური ინფორმაცია, მონაცემები ამ ინფორმაციის ინტერპრეტაციის შესახებ, საწარმოო მონაცემები, სამთო ქანების ნიმუშები, მათ

შორის, ინვესტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისას მიღებული გარსი და ქანთაშორისი სითხე არის სახელმწიფოს საკუთრება. ინვესტორს უფლება აქვს თავისუფლად და უსასყიდლოდ ისარგებლოს ამ ინფორმაციით, მონაცემებითა და ნიმუშებით საქართველოში და უცხო ქვეყნებში მხოლოდ ნავთობისა და გაზის ოპერაციების და ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების შესრულების მიზნით და იმ პირობით, რომ დაცული იქნება ინფორმაციის კონფიდენციალობა.“.

17. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 30^4 მუხლი:

„მუხლი 30^4. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის არსებული ლიცენზია

ამ მუხლის ამოქმედებამდე გაცემული ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მფლობელებს უფლება აქვთ ამოქმედების შემდეგ მიმართონ სააგენტოს მათზე გაცემული სარგებლობის ლიცენზიის საფუძველზე ბუნებრივი წყალბადის ოპერაციების წარმოების უფლების მოსაპოვებლად. სარგებლობის არსებული ლიცენზიის საფუძველზე სააგენტო გასცემს სარგებლობის ლიცენზიას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებიდან 180 დღის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**